



## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრსა

და სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია შორის

ქ. ბათუმი

23 ნოემბერი, 2019 წელი

### პრეამბულა

ერთი მხრივ სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, წარმოდგენილი სამხატვრო ხელმძღვანელის, ანდრო ენუქიძის მიერ (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, რუსთაველის N1), (შემდგომში „თეატრი“) და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, წარმოდგენილი რექტორის, ირაკლი შარაბიძის მიერ (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53), (შემდგომში „უნივერსიტეტი“), ორივე ერთად „მხარეებად“ წოდებული, ეყრდნობიან რა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე:

### 1. მემორანდუმის საგანი

- 1.1. წინამდებარე მემორანდუმით მხარეები ადგენენ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებს, კისრულობენ ვალდებულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმართონ საკუთარი საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის პრინციპებზე;
- 1.2. მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ყველა იმ საკითხშიც, რომელიც გამომდინარეობს ორმხრივი ინტერესებიდან, თუმცა ამ მემორანდუმში პირდაპირ არ არის მოხსენებული.

### 2. მემორანდუმის მიზნები

- 2.1. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მიზანია ხელს შეუწყოს:
  - ა) შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
  - ბ) ერთობლივი შემოქმედებითი და კულტურის განვითარების პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას;
  - გ) დაგეგმილი რეპერტუარის ფარგლებში გათვალისწინებულ სპექტაკლებზე მაყურებელთა მაქსიმალურ მოზიდვასა და დასწრებას.

### 3. თანამშრომლობის მიმართულებები

#### 3.1. მხარეები თანამშრომლობენ შემდეგი მიმართულებებით:

- ა) აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით;
- ბ) წინასწარი შეთანხმებისა და სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენებენ ერთმანეთის მატერიალურ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ რესურსს, მემორანდუმის მიზნების მისაღწევად;
- გ) ერთმანეთს გაუწევენ კონსულტაციებს, განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს, მოამზადებენ ერთობლივ სიმპოზიუმებს, კონფერენციებს და სხვადასხვა სახის ერთჯერად შემოქმედებით პროექტებს;
- დ) „თეატრი“ „უნივერსიტეტს“ უსასყიდლოდ დაუთმობს სამაყურებლო დარბაზს, მხარეთა მიერ წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული პროექტის განსახორციელებლად;
- ვ) „თეატრი“ და „უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას.

### 4. მხარეთა ვალდებულებები

- 4.1. „თეატრი“ იღებს ვალდებულებას წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უნივერსიტეტს დაუთმოს სცენა, ასევე, ჰოლი.
- 4.2. „თეატრი“ იღებს ვალდებულებას, თითოეული სპექტაკლის არასაპრემიერო წარმოდგენაზე უნივერსიტეტის სტუდენტებზე გაავრცელოს ფასდაკლება ბილეთებზე (ნებისმიერი 1 ბილეთის ღირებულება - 5 ლარი);
- 4.3. „თეატრი“ და „უნივერსიტეტი“ დებულობენ ვალდებულებას, საკუთარ ინტერნეტ საიტებზე განათავსონ ერთმანეთის ვებ-გვერდის საინფორმაციო ბანერები, ასევე, განახორციელონ მჭიდრო თანამშრომლობა სოციალურ ქსელებში;
- 4.4. მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ წინამდებარე მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე;
- 4.5. მხარეთა მიერ ერთობლივად დაგეგმილ ყველა ღონისძიებასა თუ პროექტზე, ამ მემორანდუმის პრინციპებზე დაყრდნობით, შედგება წერილობითი შეთანხმების აქტი, რომელშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი ყოველი დაგეგმილი აქტივობა;
- 4.6. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობები, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

### 5. მემორანდუმის მოქმედების ვადა, ცვლილებები და დამატებები

- 5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2 წლის ვადით, თუ მოშლილი არ იქნება ქვემოთ მოყვანილ შემთხვევაში:



ა) მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) მემორანდუმის მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს მინიმუმ ერთი თვით ადრე აცნობონ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით



5.2. წინამდებარე მემორანდუმში შესაძლებელია შევიდეს ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება, რომელიც იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობით გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

## 6. სხვა პირობები

6.1. მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით;

6.2. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

6.3. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ორივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარად.

<p>სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი</p> <p>სამხატვრო ხელმძღვანელი ანდრო ენუქიძე</p> 	<p>საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია</p> <p>რექტორი ირაკლი შარაბიძე</p> 
--	---